საქართველო

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

N 9158/01
17/09/2019

9158-01-2-201909171027

შპს „ავიაკოპტერს“
მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი,
აეროპორტის დასახლება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 22 აგვისტოს №12135 წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ვერტმფრენებისთვის განკუთვნილი საფრენი მოედნის მოწყობას და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის განხილული და დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები, კერძოდ: სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მართვასთან დაკავშირებული საკითხები (სალექარის/გამწმენდის გამოყენების საჭიროების განსაზღვრა); აკუსტიკური ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება (შესაბამისი გამოთვლებით) უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებით; საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება და კლიმატურ-მეტეოროლოგიური მონაცემები; ტერიტორიის სეისმური და ჰიდროლოგიური პირობები; ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შესახებ (ნარჩენების სახეობების და მათი სავარაუდო რაოდენობის მითითებით); მასშტაბური ავარიის და კატასტროფის რისკებთან დაკავშირებული საკითხები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე სამინისტრო აჩერებს ადმინისტრაციულ წარმოებას. გთხოვთ, 1 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული განცხადების წარმოდგენა სამინისტროში შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაციით, რის შემდგომაც, სამინისტრო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განაახლებს ადმინისტრაციულ წარმოებას გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ./ფაქსი: +(995 32) 2378013
www.moa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone/Fax:+(995 32) 2378013